

ინფორმაცია - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე

ჩვენ გახლავართ იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულები (ჩვენი ჯგუფი იყო რიგით მე-2 ჯგუფი სკოლის ისტორიაში, 2008-2009 წწ). მივეკუთვნებით იუსტიციის მსმენელთა იმ კატეგორიას, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გასაუბრების შემდეგ არ დავინიშნეთ მოსამართლის თანამდებობაზე¹.

როგორც იუსტიციის სკოლაში სწავლისას, ისე იუსტიციის სკოლის დამთავრების შემდეგ, სკოლის დირექციიდან გვეუბნებოდნენ, რომ არ მოგვეთხოვა არანაირი ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც კი სწავლის პროცესში დგებოდა ჩვენს შესახებ და იუსტიციის სკოლაში ინახებოდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2012 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოვითხოვეთ ჩვენთვის გაეცნოთ ჩვენ შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2012 წლის 19 ოქტომბრის წერილებით გვეცნობა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად ჩვენი კანდიდატურების განხილვისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რაც საფუძვლად დაედო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით.

ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება არ გადმოგვცემია.

¹შეგახსენებთ, რომ შესაბამის პერიოდში მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და *იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება*.

სწორედ ამიტომ, 2012 წლის 19 ოქტომბერსვე განცხადებით მივმართეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორს და მოვითხოვეთ ჩვენთვის გაეცნოთ ჩვენ შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის 2012 წლის 26 ოქტომბრის წერილებით გადმოგვეცა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით.

აღმოჩნდა, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ შედგენილი დახასიათება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის მქონე წინადადებებს, ხოლო შედგენის სტილისა და მეთოდის მიხედვით, მიმართულია იუსტიციის მსმენელის შესაძლებლობების დაკნინებით წარმოჩენისაკენ, მისი პიროვნების დისკრედიტაციისაკენ და არა ადრესატისთვის (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის) სრული ინფორმაციის მიწოდებისა და ადეკვატური შთაბეჭდილების შექმნისაკენ.

აღნიშნულის გამო, 2012 წლის 21 ნოემბერს მივმართეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მოვითხოვეთ ეცნობებინათ კონკრეტულად რომელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე და უშუალოდ რომელ დოკუმენტებზე დაყრდნობით იყო შედგენილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით (იხ. განცხადება 1ა, განცხადება 1ბ).

ჩვენი განცხადების პასუხად, გადმოგვეცა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის ბესარიონ ალავიძის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე) 2012 წლის 29 ნოემბრის წერილები, რომელიც არ პასუხობდა ჩვენ განცხადებაში დასმულ შეკითხვებს. წერილის ავტორი მხოლოდ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთ ნორმათა გადმოცემით შემოიფარგლა და გვაცნობა, კანონმდებლობის მიხედვით, რა მიიღება მხედველობაში მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას (იხ. პასუხი 1ა, პასუხი 1ბ).

2012 წლის 5 დეკემბერს ერთობლივად მივმართეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს - კონსტანტინე კუბლაშვილს და განმეორებით მოვითხოვეთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე ეცნობებინათ კონკრეტულად რომელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე და უშუალოდ რომელ დოკუმენტებზე დაყრდნობით იყო შედგენილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით (იხ. განცხადება 2).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ერთობლივი განცხადების პასუხად, გადმოგვეცა კვლავ ბესარიონ ალავიძის 2013 წლის 9 იანვრის წერილები, რომლის მიხედვითაც გვეცნობა, რომ ჩვენ განცხადებაში მოყვანილი არგუმენტები უსაფუძვლოა, რის გამოც უარი გვეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (იხ. პასუხი 2ა, პასუხი 2ბ).

თავის პასუხებში ბესარიონ ალავიძე აღნიშნავდა, რომ ჩვენი მოთხოვნები არ გამომდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებიდან, თუმცა ეს მოთხოვნები თავისი შინაარსით ახლოს დგანან 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის რეგულირებასთან (რა გზით შეგროვდა მონაცემები), რაზეც წინა (2012 წლის 29 ნოემბრის) წერილით უკვე გაგვეცა პასუხი.

არ გავიზიარეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს პოზიცია შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ ერთი, ჩვენ განცხადებაში მითითებული იყო ზემოაღნიშნული კანონის 21-ე მუხლი ზოგადად და არა მისი რომელიმე პუნქტი. ბესარიონ ალავიძის მხრიდან აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით შემოფარგვლა მიზნად ისახავდა ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთებას, თუმცა უშედეგოდ.

სწორედ, აღნიშნული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსი (რა გზით შეგროვდა მონაცემები) მოიცავს მონაცემთა შეგროვების წყაროების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. ამ ნორმის საფუძველზეა უზრუნველყოფილი პირის უფლება შეიტყოს ვისგან (წყარო) და როგორ

(ფორმები და მეთოდები) იქნა მის შესახებ მონაცემები შეგროვებული (დამუშავებული), რაც პირდაპირ შეესაბამებოდა ჩვენ მოთხოვნას.

მეორე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლს პირველი პუნქტის გარდა აქვს ასევე მე-5 პუნქტიც, რომელსაც, რატომღაც, გვერდი აუარა ბესარიონ ალავიძემ. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ *პერსონალურ მონაცემებს* და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, *პერსონალური მონაცემი* განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული უფლება გვქონდა იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მიგვეღო ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ჩვენთან რამენაირ შემხებლობაშია, მათ შორის, ის ინფორმაცია რომელსაც ვითხოვდით.

მესამე, ბესარიონ ალავიძის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციადა აღნიშნული ნორმით შემოფარგვლა, ჩვენ განცხადებაზე პასუხის გაცემისაგან თავის არიდებაა, ვინაიდან მოქალაქის უფლება - სახელმწიფო დაწესებულებიდან მიიღოს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, დაცულია თვით საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით და არა მხოლოდ ალავიძის წერილში მითითებული კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მოქალაქის შესახებ არსებული ინფორმაცია. მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული წყაროებიდან, არამედ, ასევე ინფორმაცია ამ წყაროების შესახებაც. სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობა კი ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა².

და ბოლოს, რაც შეეხება, ბესარიონ ალავიძის მოსაზრებას, რომ წინა (2012 წლის 29 ნოემბრის) წერილებით სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ ამომწურავად გვაცნობა ჩვენ მიერ

² ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები“, თბ. 2005 წ. გვ 352-354.

მოთხოვნილი ინფორმაცია, არ შეესაბამება რეალობას. ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო არა ის რა წერია კანონში, არამედ რეალურად რაზე დაყრდნობით იყო შედგენილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით.

ჩვენი მოსაზრებების თაობაზე წერილობით ვაცნობეთ ბატონ ბესარიონ ალავიძესაც.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი, მას შემდეგ რაც იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან ვერ მივიღეთ რეალური პასუხი კონკრეტულად რომელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე და უშუალოდ რომელ დოკუმენტებზე დაყრდნობით იყო შედგენილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მივმართეთ ახალი განცხადებით და პირდაპირ მოვითხოვეთ გადმოეცათ ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომლებზე დაყრდნობითაც (რომელთა განხილვის შედეგადაც) იყო შედგენილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ჩვენ კანდიდატურებთან დაკავშირებით.

რამდენიმე დღის წინ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მიერ ჩვენი ბოლო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადმოგვეცა გარკვეული დოკუმენტები, თუმცა, არა კოტე კუბლაშვილის კეთილი ნების გამო, არამედ, იმის გამო, რომ საქმეში ჩაერთო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რომელმაც ანალოგიური მოთხოვნით წერილობით მიმართა იუსტიციის უმაღლეს სკოლას.

ზურაბ ძნელაშვილი

ნინო მამულაშვილი